საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის II კვარტლის

ანგარიში

ახალ შენობაში გადასვლის გეგმის ფარგლებში შესრულებული სამუშაო II კვარტალი

სამშენებლო სამუშაოების მთავარმა კონტრაქტორმა კომპანია შპს „DAGI"-მ დაასრულა სამუშაოები C, D, E, G ბლოკების შენობებში, ასევე გადახურვისა და ფასადის სამუშაოები. MEP-ის საინჟინრო სისტემების კომუნიკაციების მონტაჟს ახორციელებს მეორე კონტრაქტორი - შპს "Casa Calda".

მომზადდა და წარმოდგენილ იქნა ორივე კონტრაქტორის ერთობლივი სამუშაო გრაფიკი. დაზუსტდა ზოგიერთი საპროექტო გადაწყვეტა და შედეგებიდან გამომდინარე, თითოეული კონტრაქტორისათვის მომზადდა ძირითადი კონტრაქტის აუცილებელი დამატებითი ხელშეკრულებები.

მომზადდა და ჩატარდა ტენდერი ავეჯის შესაძენად ობიექტისთვის, ტენდერი ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის, ტენდერი სამზარეულოსა და სასადილო ოთახების ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე. პროექტის ყველა მითითებულ დარგზე მომზადდა და გაფორმდა სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებები.

მშენებარე ობიექტზე ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და გაზის მოწოდების მუდმივი დაკავშირება განხორციელდა.

მთავარი კორპუსი (ბლოკი A)

- ფასადის სისტემების 99% მონტაჟი დასრულდა. მინა-პაკეტის ფანჯრების 95% დამონტაჟებულია;
- კვამლგამტარი სისტემის საჰაერო მილების მონტაჟი დასრულებულია;
- დასრულებულია საკაბელო სისტემების (კარადების) მონტაჟი შენობის ყველა სართულზე (ელექტრო და დაბალი ძაბვის დენის სისტემები);
- დასრულდა ხანძარსაწინააღმდეგო კარადების მონტაჟი;
- დასრულდა შიდა საკანალიზაციო სისტემისა და სანტექნიკის სისტემების მილების მონტაჟი. მეორე ფენის შეღებვისა და კარების დამონტაჟების შემდეგ დამონტაჟდება სანტექნიკის აღჭურვილობა;
- ფანკოილების მონტაჟი და გაყვანილობა დასრულებულია;
- დამონტაჟდა და შეიღება დეკორატიული წითელი კონსტრუქცია;
- დამონტაჟებულია აკუსტიკური კარების 80 %;
- თაბაშირ-მუყაოს ტიხრების სამონტაჟო სამუშაოები ყველა დონეზე დასასრულს უახლოვდება 98%;
- იატაკის მოჭიმვის სამუშაოები ყველა დონეზე არის დასრულებული 95%;
- სახურავზე გაკეთდა ღიობები გარე კონდიციონერების და კვამლგამტარი სისტემების მოსაწყობად. მემბრანა დამონტაჟდა და დასრულებულია საჰაერო მილების შახტების მონტაჟი. აუცილებელია საჰაერო მილების დამცავი ქოლგების დაყენება;
- ყველა სართულზე შიდა შუშის ტიხრების მონტაჟი დასრულებულია;
- დასრულდა ნ ლიფტის მონტაჟი;
- დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები და მასალების დამტკიცება შენობის საბოლოო მოპირკეთებისთვის და იატაკის, ჭერისა და კარების დამონტაჟებისთვის. აკუსტიკური ოთახებისთვის თაბაშირ-მუყაოს ჭერის მონტაჟი დასრულდა. მუშაობა მიმდინარეობს „არმსტრონგის" ტიპის ჭერის ჩარჩოების დამონტაჟებაზე;

სამუშაოები შესრულდა პროექტის დამკვეთის მიერ, არქიტექტურული და საინჟინრო ნაწილების კორექტირების გათვალისწინებით;

პავილიონები (ბლოკი B)

- დასრულებულია კედლის ჩარჩოების, ჭერის და თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მონტაჟი;
- მემბრანის სახურავის დამონტაჟებაზე სამუშაოები დასრულდა. ჩატარდა აუცილებელი შემოწმება თუ რამდენად დაცულია გაჟონვისაგან. მემბრანა დამონტაჟდა ჰაერგამტარი მილების შახტებზე;
- ფასადის სისტემების დამონტაჟებაზე სამუშაოები დასასრულს უახლოვდება;
- აკუსტიკური დაცვის მასალები შეთანხმებულია 100%. აკუსტიკური პანელების მონტაჟი დასრულდა;
- დასრულდა სპლინკერის სისტემის ხანძარსაწინააღმდეგო მილების მონტაჟი და დასრულებულია შიდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი;
- ჰაერგამტარი მილების მონტაჟი და ხმის იზოლაცია 90%-ით დასრულებულია;
- დასრულდა სტუდიების კედლების, ჭერისა და ტიხრების მონტაჟი აკუსტიკური მოპირკეთებით. ყველა ოთახში დამონტაჟდა აკუსტიკური კარები;
- გარე აკუსტიკური კარები მოწოდების ეტაპზეა;
- აკუსტიკის სპეციალისტების მოთხოვნით და პროექტის დამკვეთთან შეთანხმებით, სტუდიებში დასრულდა თაბაშირ-მუყაოს ჭერის მეორე ფენის მონტაჟი.

არქივი (ბლოკი C)

- ლიფტის შახტისა და შემავალი ჯგუფის რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი დასრულდა;
- სამუშაოები ზედა სახურავის საფარის დამონტაჟებაზე დასრულდა. მემბრანის მონტაჟი დასრულებულია;
- დამონტაჟებისთვის მომზადებულია შენახვის სისტემის სპეციალური თაროების აღჭურვილობა;
- დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები პრეციზიული კონდიცირების მოწყობისათვის და კლიმატის უზრუნველყოფისათვის;

დამატებითი შენობა (ბლოკი D)

- დასრულდა მემბრანის სახურავის დამონტაჟების სამუშაოები და ჩატარდა შემოწმება;
- დასრულდა საქვაბე ოთახის ქვაბების აღჭურვილობისა და მილების საბოლოო მონტაჟი;
- დასრულებულია სამი ტრანსფორმატორის მონტაჟი საპროექტო პოზიციაზე;
- ობიექტის ყველა სახანძრო ტუმბოს და წყალმომარაგების ტუმბოების დამონტაჟება დასრულდა;
- დიზელის გენერატორის მოწყობილობები და ელექტრომომარაგების სისტემის აღჭურვილობა არის მოწოდების ეტაპზე;
- სახურავზე ჩილერების მონტაჟი დასრულდა. დასრულებულია გაგრილების და გათბობის სისტემის მილები;

- დასრულდა რკინაბეტონის მიწისქვეშა გვირაბის მშენებლობა და ელექტრომომარაგების სისტემების კომუნიკაციების მონტაჟი;
- გარე ელექტრომომარაგების შეყვანის საკაბელო ხაზების მონტაჟი დასრულდა;
- მიმდინარეობს ტრანსფორმატორების და დენის კარადების მონტაჟი;

ავტოსადგომი (ბლოკი E)

- შენობის რკინაბეტონის კარკასის მშენებლობა დასრულდა;
- მიმდინარეობს საფარის ზედა ფენის მონტაჟი, დასრულებულია მოჭიმვა;

დაცვის ოთახი (ბლოკი G)

- კონტრაქტორმა დაასრულა ორმოს გამოთხრა, საძირკვლის ფილის გამაგრება და შენობის კარკასის დამონტაჟება;
- შესრულებულია დეკორატიული წითელი ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი და ფასადების გაწმენდა.

გარე ქსელები:

- ობიექტის ქალაქის კომუნიკაციებთან დასაკავშირებლად მომზადდა საჭირო ტექნიკური მახასიათებლები. მიღებულ იქნა ელექტრომომარაგებაზე (ორი ხაზი) მიერთების ტექნიკური პირობები, გაზმომარაგება, წყალმომარაგება და წყალგაყვანილობა. მიღებულია საკომუნიკაციო პროვაიდერის ქსელებისა და ინტერნეტის დამაკავშირებელი ტექნიკური პირობები;
- შესრულებულია სამუშაოების ნაწილი ინტერნეტ პროვაიდერის ოპტიკური კაბელის შეყვანაზე (დასრულებულია მიწისქვეშა გადასასვლელი და დამონტაჟდა გილზები);
- პროვაიდერების საკაბელო ქსელებისთვის საჭიროა შიდა კანალიზაციის დამონტაჟება.

შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი
II კვარტალი



მხატვრული ფილმები საერთო ქრონომეტრაჟის - 18.8%

მნიშვნელოვანი სიახლეები

- “პირველი არხი სპორტი” - პირველი არხის სპორტულმა არხმა მაუწყებლობა დაიწყო

ბმული

ბმული

- ტელეყურების ახალი რეკორდი!

ბმული

ბმული

- საერთაშორისო აუდიტის დადებითი დასკვნა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბმული

- პირველმა არხმა 2024 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის პერიოდში სარეკლამო დროის გაყიდვაზე აუქციონი გამოაცხადა

ბმული

- საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა 28 აგვისტოს დასრულდება

ბმული

- **საზოგადოებრივ მაუწყებელს ეუთო/ოდირ-ის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ესტუმრნენ**

  ბმული

- **პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სამი წევრი აირჩია**

  ბმული

- **პირველად სატელევიზიო ეთერში - პარაწოლჭიმში 2024 წლის მსოფლიო თასის გათამაშება პირველი არხი სპორტზე**

  ბმული

- **თინათინ ბერძენიშვილი საერთაშორისო კონფერენციის, „AI საზოგადოებრივ მედიაში: გლობალური პერსპექტივა“ და ევროპის მაუწყებელთა კავშირის ტექნოლოგიების და ინოვაციის სამიტის სპიკერი იყო**

  ბმული

  ბმული

- **საქართველოს რადიო 99 წლისაა**

  ბმული

ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსდება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 51,4 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 4 მილიონი; გვერდს დაემატა 44 800 გამომწერი.

1tv.ge სტატისტიკა

	II კვარტალი 2024	I კვარტალი 2024
ნახვა	14,000,000	8,500,000
საშუალოდ დღეში ნახვა	154,000	93,500
მაქსიმალური მაჩვენებელი	926,000	664,000
	22 ივნისი 2024	26 მარტი 2024

იუთუბარხების სტატისტიკა

	II კვარტალი 2024	I კვარტალი 2024
ნახვა	33,700,000	29,500,000
საშუალოდ დღეში ნახვა	370,000	328,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	1,170,000	605,000
	26 ივნისი 2024	26 მარტი 2024

TikTok

პირველი არხის ტიკ-ტოკ გვერდს, 2024 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ჰყავს **100,641 გამომწერი.**

Instagram

პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს, 2024 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ჰყავს **57,795 გამომწერი.**

პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 16,2 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,5 მილიონი.

გვერდს დაემატა 17,700 გამომწერი.

პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 2,7 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 197,400.

გვერდს დაემატა 12,900 გამომწერი.

პირადი ექიმი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 337,300;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 15,300.

გვერდს დაემატა 886 გამომწერი.

რეალური სივრცე
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 574,900;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 29,300.

გვერდს დაემატა 1300 გამომწერი.

აკუსტიკა
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 2 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 140,100.

გვერდს დაემატა 2400 გამომწერი.

ახალი დღე
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 4,4 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 157,000.

გვერდს დაემატა 4700 გამომწერი.

„ამ შაბათ-კვირას“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 1,6 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლის ჩართულობა - 75,000.

გვერდს დაემატა 2300 გამომწერი.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2024 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 184 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2024 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "სტუდია ფონოგრაფი"**	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში. - სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი
2	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
3	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
4	**მარიამ სონიშვილი**	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
5	**ირაკლი აბსანძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

6	**იმედა დარსალია**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება
7	**თამთა ჯანაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. მიმდინარეობს საქმის განხილვა. მორიგი სხდომა ჩანიშნულია 09/09/2024წ.
8	**სოფიო ზედელაშვილი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
9	**არაზ მაშოვი**	დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და ხელფასის გათანაბრება თავდაპირველ ანაზღაურებასთან	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.
10	**ნიკოლოზ ცერცვაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
11	**ირაკლი დობორჯგინიძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2024 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "პრაიმ თაიმი"**	24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	_ საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. - ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა.
2	**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო**	ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა	_ სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. რომლის განჩინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

2.3

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ: **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).**

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.**

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2024 წლის მე-2 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 1 განცხადება, რომელიც დაკმაყოფილდა.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2024 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2024 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის II კვარტლის ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა 2024 წლის II კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 49,453,482 ლარი.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ, 2024 წლის II კვარტლის განმავლობაში, ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 23,709,005 ლარი. აქედან, 21,502,800 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო - 2,206,205 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2024 წლის II კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგენდა 21,967,506 ლარი.

2024 წლის II კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
გენ.დირ. და დაქვ.სამს	200,796	184,334	16,462	91.8%7
საერთო და ადმინისტრაციული	1,841,795	1,412,498	429,297	76.7%
ახალი და მიმდინარე ამბები	3,387,125	3,275,329	111,796	96.7%
მედია	4,654,161	2,912,845	1,741,317	62.6%
ტექნიკური ხარჯი	3,039,864	2,716,170	323,695	89.4%
ონლინ მედია	416,056	223,217	192,838	53.7%
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	1,205,506	975,290	230,217	80.9%
საინვესტიციო ხარჯები	29,249,500	6,474,804	22,774,696	22.1%
ფინანსური ხარჯი	5,458,678	3,793,021	1,665,658	69.5%
მთლიანი ბიუჯეტი	**49,453,482**	**21,967,506**	**27,485,975**	**44.4%**

მე-2 კვარტლის განმავლობაში სამეურვეო საბჭოზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 260,123 ლარი.

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის II კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 27 მლნ. 485 ათასი ლარით ნაკლები. აღნიშნული თანხის აკუმულირება მოხერხდა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის (მ. კოსტავას №68) რეალიზაციით და წარმოადგენს ბიუჯეტში არსებულ გარდამავალ ნაშთს, რომლის მიზნობრიობა დაკავშირებულია მშენებლობის პროცესთან და ხარჯვა ხორციელდება მშენებლობის გრაფიკის შესაბამისად.

2024 წლის II კვარტლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 63,683,250 ლარს, ხოლო II კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 65,164,625 ლარი.

ბიუჯეტის შესრულება, 2024 II კვ.



შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 8,471,413 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,074,028 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 397 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

2024 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
გენ.დირ. და დაქვ.სამს	200,796	184,334	16,462	91.8%
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინ.	772,306	729,500	42,806	94.5%
ახალი და მიმდინარე ამბები	2,827,285	2,807,110	20,174	99.3%
მედია	2,330,148	2,229,041	101,107	95.7%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,024,823	1,912,706	112,117	94.5%
ონლაინ მედია	291,056	211,336	79,719	72.6%
სხვა ფინანსური ხარჯი	25,000	-	25,000	0.0%
ჯამი:	**8,471,413**	**8,074,028**	**397,385**	**95.3%**

შრომის ანაზღაურება



მივლინება

2024 წლის II კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 326 290 ლარს, ხოლო ფაქტობრივი სამივლინებო ხარჯი შეადგინა 320,795 ლარს, რაც დაგეგმილთან შედარებით 5 ათასი ლარით ნაკლებია.

ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	%
ადმინისტრაცია და მენეჯმენტი	32,243	39,072	(6,828)	121.2%
ახალი და მიმდინარე ამბები	203,170	170,698	32,472	84.0%
მედია	89,627	107,755	(18,129)	120.2%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	1,250	3,270	(2,020)	261.6%
ონლაინ მედია	-	-	0	
ჯამი:	**326,290**	**320,795**	**5,495**	**98.3%**

მივლინება II კვ. 2024



საინვესტიციო ხარჯები

2024 წლის II კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 6,474,804 ლარის კაპიტალური ხარჯი:

ახალი შენობის მშენებლობა		**6,185,968**
	მშენებლების ხარჯი	5,783,534
	ზედამხედველობის ხარჯი	288,834
	ინვენტარი/ავეჯი	113,600
ტექნიკური აღჭურვა		**74,000**
	კომპიუტერული ტექნიკა	74,000
არამატერიალური აქტივი		**214,836**
	მექანიკური პროდუქცია	214,836
სულ საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული:		**6,474,804**

ფინანსური ხარჯები:

2024 წლის II კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 3,793,021 ლარის კაპიტალური ხარჯი:

ფინანსური ხარჯი		**3,793,021**
საგადასახადო გადასახდელები		**318,094**
	დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	318,094
სესხის მომსახურება		**3,453,724**
სხვა ფინანსური ხარჯი		**21,202**
	სახელმწიფო ბაჟი	200
	კომპენსაცია/სხვა დავალიანებები	21,002
სულ ხარჯი		**7,586,041**

კომერციული შემოსავლები

2024 წლის II კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 2,206,205 ლარი. აქედან სასპონსორო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 191,663 ლარი; იჯარის, ტექნიკური და საარქივო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა - 15,076 ლარი, სხვა არასაოპერაციო და ფინანსურმა შემოსავლებმა კი - 1,996,466 ლარი.

სახელმწიფო ასიგნება	**21,502,800**
კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	**206,739**
რეკლამიდან მიღებული შემოსავალი	34,512
სპონსორობა	155,817
პროდაქტ ფლეისმენტი	1,333
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	(990)
ტექნიკური მომსახურება	13,163
საარქივო მომსახურება	2,903
სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი	**1,999,466**
ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	26,900
დეპოზიტის პროცენტი	1,916,764
დადებითი საკურსო სხვაობა	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	55,802
მიღებული სესხი	-
სულ:	**23,709,005**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2024 წლის II კვარტლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

დანართი N1

ანგარიში	აპრილი	მაისი	ივნისი	II კვ.
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**3,778,992**	**3,848,334**	**4,072,356**	**11,699,682**
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	**59,867**	**63,367**	**61,100**	**184,334**
შრომის ანაზღაურება	**59,867**	**63,367**	**61,100**	**184,334**
გენერალური დირექტორის სამსახური	17,125	17,125	17,125	51,375
შიდა აუდიტი	5,000	6,250	5,000	16,250
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	18,742	19,742	19,975	58,459
იურიდიული სამსახური	19,000	20,250	19,000	58,250
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**499,612**	**507,935**	**404,951**	**1,412,498**
შრომის ანაზღაურება	236,781	254,301	238,419	729,500
მივლინება	21,588	-	17,484	39,072
მარკეტინგი	4,796	12,803	10,213	27,812
კომუნალური ხარჯები	141,908	87,930	86,814	316,653
ავტოპარკი	40,155	46,408	31,098	117,660
საოფისე ხარჯი	51,709	104,744	19,403	175,857
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,674	1,750	1,520	5,944
ახალი და მიმდინარე ამბები	**1,075,880**	**1,129,901**	**1,069,549**	**3,275,329**
შრომის ანაზღაურება	920,435	955,938	930,737	2,807,110
მივლინება	66,457	23,107	81,134	170,698
უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება	32,820	93,479	-	126,300
ბიზნეს პარტნიორი	56,168	57,376	57,678	171,221
მედია	**999,487**	**1,045,497**	**867,861**	**2,912,845**
შრომის ანაზღაურება	763,502	798,704	666,836	2,229,041
მივლინება	77,627	4,380	25,748	107,755
გარეწარმოება	101,173	124,952	165,667	391,792
კოპროდუქცია	6,250	-	6,250	12,500
შესყიდვები მედია	50,934	117,462	3,360	171,756

ტექნიკური ხარჯი	**847,970**	**885,083**	**983,117**	**2,716,170**
შრომის ანაზღაურება	633,695	635,810	643,200	1,912,706
მივლინება	-	2,790	480	3,270
ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები	156,974	198,156	217,188	572,318
სხვა არასაინვესტიციო ხარჯი	57,301	48,326	122,249	227,876
მცირეფასიანი ტექნკა/შეკეთება	16,500	1,870.00	3,993.00	22,363.00
პროგრამული უზრუნველყოფა - მოკლევადიანი	-	-	62,540	62,540
სტუდიის ხარჯები	-	8,046	14,553	22,599
ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურება	27,382	26,986	26,986	81,354
საკომუნიკაციო ჯებით მომსახურება	3,828	4,224	4,224	12,276
არქივის გაციფრულების პროექტი	9,590	7,200	9,953	26,743
ონლაინ მედია	**62,882**	**65,883**	**94,452**	**223,217**
შრომის ანაზღაურება	61,605	65,547	84,184	211,336
ონლაინ მედიის შესყიდვები	1,277	336	10,268	11,881
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	**233,295**	**150,668**	**591,326**	**975,290**
ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი	-	135,611	-	135,611
სატელევიზიო ფორმატები	60,615	4,881	59,380	124,876
სიგნალები და სპორტული სააგენტოები	172,680	8,526	361,002	542,208
სპორტული ლიცენზიები	-	-	169,820	169,820
ქართული ფილმები	-	1,650	1,125	2,775
საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი	**2,395,175**	**1,271,601**	**2,808,028**	**6,474,804**
ახალი შენობის მშენებლობა	**2,264,933**	**1,173,655**	**2,747,381**	**6,185,968**
მშენებლობის ხარჯი	2,144,251	1,013,904	2,625,380	5,783,534
ზედამხედველობის ხარჯი	120,682	46,151	122,002	288,834
ინვენტარი/ავეჯი	-	113,600	-	113,600
ტექნიკური აღჭურვა	**74,000**	**-**	**-**	**74,000**
კომპიუტერული ტექნიკა	74,000	-	-	74,000
არამატერიალური აქტივი	**56,242**	**97,947**	**60,647**	**214,836**

მექანიკური პროდუქცია	56,242	97,947	60,647	214,836
ფინანსური ხარჯი	195,002	265,543	3,332,475	3,793,021
გადასახდელები	**174,000**	**66,725**	**77,370**	**318,094**
დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	174,000	66,725	77,370	318,094
სესხის მომსახურება	-	198,819	3,254,906	3,453,724
სხვა ფინანსური ხარჯი	21,002	-	200	21,202
სახელმწიფო ბაჟი	-	-	200	200
კომპენსაცია/სხვა დავალიანებები	21,002	-	-	21,002
სულ ხარჯი	**6,369,169**	**5,385,478**	**10,212,859**	**21,967,506**